საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ც. ჟ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 008/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 02 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ც. ჟ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ც. ჟ. დაესწრო 2023 წლის 15 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა მის მიერ საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 ც. ჟ.-ის განმარტებით, მას ქონებრივი დავა ჰქონდა საკუთარ ძმასთან, რაც მათ შორის დაახლოებით ორი წლის წინ დაიწყო. აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, მეორე მხარემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და დავა გაგრძელდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც ც. ჟ. ჩაერთო მესამე პირად, ხოლო მოპასუხე მხარემ სხვა იურისტის დახმარებით წარადგინა შესაგებელი. ც. ჟ.-ის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ფოსტის საშუალებით სასამართლოსაგან მიიღო დოკუმენტები და ვინაიდან თავად ვერ ერკვეოდა

სამართალწარმოების თავისებურებებში, სურდა სასამართლოში პროცესზე წარმოდგენილი ყოფილიყო ადვოკატთან ერთად.

1.3 ც. ჟ.-ის განმარტებით, გადაწყვეტილების 1.2 პუნქტში მითითებულ ქონებრივ დავაზე ინფორმაციას ფლობდა მისი ნაცნობი ვ. დ., რომელმაც ურჩია, რომ სამართლებრივი დახმარებისათვის მიემართა ადვოკატ ვ. მ.-ისათვის. საჩივრის ავტორის განმარტებით, მასთან ადვოკატი ვ. მ. სწორედ ვ. დ.-მ მიიყვანა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. დ.-მ და ვ. მ.-მ საქმე „გაზვიადებულად" წარმოუდგინეს, რის შემდეგაც ვ. დ.-ს თქმით, თუ საჩივრის ავტორი კარგ ადვოკატს არ მიმართავდა, შესაძლო იყო ც. ჟ. სასამართლო სხდომის დარბაზში დაეკავებინათ. მომჩივანის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაციის მიღებამ შეაშფოთა და გადაწყვიტა საქმეში ადვოკატ ვ. მ.-ის ჩართვა. ადვოკატმა ვ. მ.-მ კლიენტს სასამართლოში კიდევ ერთი შესაგებელის გაგზავნა შესთავაზა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქმისწარმოებას მისთვის მინდობილობის გაფორმებისთანავე დაიწყებდა. 2022 წლის 18 ოქტომბერს ც. ჟ.-მ ადვოკატ ვ. მ.-ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა და იმავე დღეს ნაღდი ანგარიშსწორებით გადასცა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1000 ლარი. საჩივრის ავტორისათვის უცნობია წარადგინა თუ არა ადვოკატმა ვ. მ.-მ შესაგებელი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ვ. მ.-ს შეუთანხმდა, რომ თუ ისინი დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას წარადგენდნენ სასამართლოში, სადაც მოსარჩელე იქნებოდა ც. ჟ., ადვოკატს დამატებით გადაუხდიდა 1000 ლარს. მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება წერილობით არ გაფორმებულა. კლიენტმა ადვოკატს სრულად გადასცა სადავო საქმის მასალები, რომლებიც ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის დღემდე არ დაუბრუნებია.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. მ. მისი თანდასწრების გარეშე აწარმოებდა მოლაპარაკებას მეორე მხარესთან და მოლაპარაკების დეტალებს აცნობებდა ვ. დ.-ს. ც. ჟ.-ის განმარტებით, ადვოკატისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მეორე მხარე დათანხმდებოდა მორიგებას. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნაახალწლევს შეხვდა ნათესავებს, რომლებიც დაპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ ძმასთან მორიგებაში და განუმარტეს, რომ ადვოკატმა ცრუ ინფორმაცია მიაწოდა და ადვოკატ ვ. მ.-სა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის საუბარი არ ყოფილა გარკვეული თანხის სანაცვლოდ მორიგებაზე. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, მომჩივანმა გადაწყვიტა შეეწყვიტა ადვოკატთან სამართლებრივი ურთიერთობა. ადვოკატმა, ამ გადაწყვეტილების შესახებ, მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, აცნობა ადვოკატს, მიაწოდა ინფორმაცია მინდობილობის გაუქმების თაობაზე და სთხოვა აღარ დაემყარებინა კომუნიკაცია კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან, ვინაიდან მოწინააღმდეგესთან მორიგებას აპირებდა ნათესავების ჩართულობით. საჩივრის ავტორის განმარტებით, კლიენტის მითითების მიუხედავად, ადვოკატმა კომუნიკაცია დაამყარა ც. ჟ.-ის პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან, რის შესახებაც მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა კლიენტს. ც. ჟ.-ის შეფასებით, ადვოკატის მიერ მისთვის გაგზავნილი შეტყობინება იყო მუქარის შემცველი.

1.6 ც. ჟ.-ის განმარტებით, იმის გამო, რომ მასსა და ადვოკატ ვ. მ.-ს შორის ზეპირი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა,

ადვოკატ ვ. მ.-ს მოსთხოვა გამოუმუშავებელი ჰონორარის - 500 ლარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა და ც. ჟ.-ს განუმარტა, რომ პირიქით, მას ეკისრებოდა ადვოკატისათვის დამატებით 1500 ლარის გადახდის ვალდებულება.

1.7 საჩივრის ავტორმა 2023 წლის 15 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა რომ ის არ არის ადვოკატთან მორიგების წინააღმდეგი თუ ადვოკატი დაუბრუნებს საქმისწარმოების მასალებსა და გადახდილი ჰონორარის ნახევარს. საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მორიგების მიზნით მივიდა ადვოკატთან ოფისში და სთხოვა მასალების დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ მასალები ჰქონდა დატოვებული მანქანასთან, თუმცა უარი განუცხადა მანქანასთან მისვლასა და მასალების გადაცემაზე.

1.8 საჩივრის ავტორმა 26/07/2023 წელს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განცხადება, სადაც მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატ ვ. მ.-ს შორის შედგა მოლაპარაკება, მხარეები შეთანხმდნენ და მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ვ. მ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება თუმცა ადვოკატი დაესწრო 2023 წლის 21 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას სადაც წარმოადგნა ზეპირი ახსნა-განმარტება ც. ჟ.-ის საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატმა განმარტა რომ საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით მას საერთო ნაცნობის - ვ. დ.-ს საშუალებით დაუკავშირდა ც. ჟ. და სთხოვა მისთვის სამართლებრივი დახმარება გაეწია სამოქალაქო (სამემკვიდრეო) და ადმინისტრაციულ დავაში. 2022 წლის 18 ოქტომბერს ც. ჟ.-მ ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა და გადასცა საადვოკატო მომსახურების საფასური - 1000 ლარი. მხარეთა შეთანხებით, ადვოკატ ვ. მ.-ს ც. ჟ.-ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან ც. ჟ.-ს სურდა ძმასთან მორიგება ადვოკატი აქტიურად იყო ჩართული მხარეთა მორიგების პროცესში. მხარეთა მორიგების შემდეგ ადვოკატს დამატებით 1500 ლარი უნდა მიეღო ც. ჟ.-ისაგან.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2023 წლის 13 იანვარს ც. ჟ.-ისაგან მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება რომლის მიხედვითაც, საჩივრის ავტორი აღარ აპირებდა ძმასთან დავას; წყვეტდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას ვ. მ.-სთან და უკრძალავდა ადვოკატს მის ძმასთან კომუნიკაციას. მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომჩივანი ატყობინებდა, რომ სურდა ადვოკატს მისთვის დაებრუნებინა 500 ლარი და საქმის მასალები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის დაუკავშირდა მომჩივანის ძმას და მიიღო ინფორმაცია რომ მხარეები სწორედ ადვოკატ ვ. მ.-ის ჩართულობით მორიგდნენ. ადვოკატის განმარტებით, ის კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების წინააღმდეგი არ არის.

2.5 ადვოკატმა ვ. მ.-მ 24/07/2023 წელს, ეთიკის კომისიის აპარატის იურისტთან სატელეფონო საუბრისას განმარტა, რომ მასსა და ც. ჟ.-ს შორის არსებული გაუგებრობა აღმოიფხვრა, მხარეები მორიგდნენ და საჩივრის ავტორი აპირებდა ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე განცხადების წარმოდგენას.

3. **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2023 წლის 27 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატის მხრიდან ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა (კერძოდ, ადვოკატის მხრიდან დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 და 8.15 მუხლები), რაც გამოიხატა შემდეგ ქმედებებში: ადვოკატმა იმოქმედა კლიენტის მითითების საწინააღმდეგოდ, არ დაუბრუნა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და საქმის მასალები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორის განცხადების საფუძველზე, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22.1(ბ) მუხლის თანახმად.

5. **სამართლებრივი შეფასება**

5.1 2023 წლის 26 ივლისს, საჩივრის ავტორმა ც. ჟ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვით მას აღარ აქვს პრეტენზიები ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ, მხარეები მორიგდნენ და სურს დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, 22.1(ბ) მუხლი).

5.3 განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან საჩივრის ავტორი უარს ამბობს საჩივარზე.

5.4 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.5, 4.6, 5.7, 22.1(ბ), 33-35, 37 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №008/23 ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/